სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 ივლისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/132

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 26 0000809680, 26.06.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2026-2027 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი წარიმართოს წინამდებარე დადგენილების **№1 დანართით** წარმოდგენილი „აკადემიური კალენდრის“ შესაბამისად.
2. წინამდებარე დადგენილების **№1 დანართში** ცვლილებების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების ცვლილების ან/და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს რექტორის ბრძანება.
3. დადგენილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს; დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს), რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილს), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/132 დადგენილების
დანართი №1

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის
2026-2027 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2026-2027 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო/კურაცია/პრაქტიკული სამუშაოები) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2026 წლის 12 ოქტომბერს და დასრულდეს 2027 წლის 06 თებერვალს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2026 წლის 29 სექტემბერს და დასრულდეს 09 ოქტომბერს;

გ) საშობაო არდადეგები - 2026 წლის 28 დეკემბრიდან 2027 წლის 09 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2027 წლის 08 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2027 წლის 01 მარტიდან 06 მარტის ჩათვლით.

ე) **შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის** კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი განხორციელდეს 2027 წლის 22 მარტიდან 01 აპრილის ჩათვლით.

1.2. გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2027 წლის 22 მარტს და დასრულდეს 2027 წლის 03 ივლისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2027 წლის 09 მარტს და დასრულდეს 19 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2027 წლის 05 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2027 წლის 26 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით.